შენ არ უნდა მოკლა იგი, რადგან თუ მოკლავ მას, ის გახდება ისეთივე, როგორიც შენ იყავი მის მკვლელობამდე, ხოლო შენ გახდები ისეთივე, როგორიც ის იყო მანამ, სანამ ამ სიტყვებს წარმოთქვამდა

მიყდაად იბნ 'ამრ ალ-ქინდი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: ერთხელ ვკითხე ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): "თუ შევხვდები ურწმუნო ადამიანს, და ჩვენ შევებრძოლებით ერთმანეთს, და ის მოჰკვეთს ჩემს ხელს მახვილით, შემდეგ კი (ეცდება) განერიდოს ჩემგან და, ხეს შეაფაროს თავი და იტყვის: „მე დავმორჩილდი ალლაჰს!“ — მაშინ, ო, ალლაჰის მოციქულო, შემიძლია თუ არა მისი მოკვლა ამ სიტყვების თქმის შემდეგ?" ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «შენ არ უნდა მოკლა იგი». ვუთხარი: "ო, ალლაჰის მოციქულო, მაგრამ მან მოჰკვეთა ჩემი ხელი და თქვა ეს სიტყვები მხოლოდ ამის შემდეგ!" (ამაზე) ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «შენ არ უნდა მოკლა იგი, რადგან თუ მოკლავ მას, ის გახდება ისეთივე, როგორიც შენ იყავი მის მკვლელობამდე, ხოლო შენ გახდები ისეთივე, როგორიც ის იყო მანამ, სანამ ამ სიტყვებს წარმოთქვამდა».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალ-მიყდაად იბნ ალ-ასვადმა, დაე, ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით, ჰკითხა მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): რას იტყვი, თუ ბრძოლაში შევხვდები ერთ-ერთ ურწმუნოს, ჩვენ ვიბრძოლებთ მახვილებით, და ის დამარტყამს, მოჰკვეთს ერთ ჩემს ხელს, შემდეგ კი გაიქცევა და დაიმალება ხეზე (ან ხის უკან) და იტყვის: 'ლა ილაჰა ილლალლაჰ' (არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა). შემიძლია თუ არა მისი მოკვლა მას შემდეგ, რაც მან მოჰკვეთა ჩემი ხელი? მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) უპასუხა: არ მოკლა ის. ჰკითხა: და თუ მან ჩემი ერთი ხელი მოჰკვეთა მაიც არ მოვკლაო? მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) თქვა: არ მოკლა იგი, რადგან იგი გახდა ხელშეუხებელი. თუ მოკლავ მას იმის შემდეგ, რაც მან ისლამი მიიღო, ის იქნება შენს ადგილას, ისლამის წყალობით ხელშეუხებელი, ხოლო შენ აღმოჩნდები მის ადგილას, გახდები სასჯელის ობიექტი მკვლელობისთვის.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4815